



11857-15-11-2-201911041032

N 15-11/11857



04/11/2019

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

ბატონო ვასილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის 29 აგვისტოს საკუთარი ინიციატივით დაიწყო შპს „სამაუწყებლო ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში მოპოვებული მასალების შესწავლა.

საქმის შესწავლის შედეგად¹ გამოიკვეთა, რომ წინამდებარე ბრალდება შეეხება როგორც სისხლის, ისე - საკორპორაციო სამართლის საკვანძო საკითხებს. ნიკა გვარამიას ბრალდების შინაარსი შპს „სამაუწყებლო ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის დირექტორობის პერიოდში მის მიერ მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილების არამომგებიანობაზეა დაფუძნებული. საწარმოსთვის არამომგებიანი ხელშეკრულების დადება და მაქსიმალური თანხის არმიღება, პროკურატურის პოზიციით, საწარმოს ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვას წარმოადგენს.

საწარმოს დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, სისხლის სამართლისგან განსხვავებით, საკორპორაციო სამართლისთვის კარგად შესწავლილ საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, წინამდებარე მოსაზრებით წარმოგიდგენთ სადავო ქმედების ხასიათს საკორპორაციო-სამართლებრივი ჭრილით და მის კავშირს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან.

წინამდებარე სასამართლო მეგობრის მოსაზრებას წარმოგიდგენთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში და ვიმედოვნებ, რომ იგი დაეხმარება სასამართლოს წინამდებარე საქმის სამართლიან შეფასებასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში.

ფაქტობრივი გარემოებები

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ნიკა გვარამიას ბრალი დაედო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ, ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში.² ბრალდების

¹ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოძიების მასალებს გაეცნოს მისი დამთავრების შემდგომ. შესაბამისად, აღნიშნული მასალები მოპოვებულ იქნა ნიკა გვარამიას ადვოკატის მეშვეობით.

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

შესახებ დადგენილებისა და საქმეში არსებული მასალების მიხედვით, დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ნიკა გვარამია, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, პერიოდულად დებდა ხელშეკრულებას ე.წ. „სელ ჰაუსებთან“ - კომპანიებთან, რომლებიც დაინტერესებულ პირებზე ყიდნენ ტელეკომპანიის საეთერო ბადეში გასასვლელ სარეკლამო დროს. 2013-2015 წლებში დადებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ინტერ მედია“, მცირე ფიქსირებული ანაზღაურების გარდა, სარეკლამო ეთერის გაყიდვების სრული შემოსავლიდან, ბონუსის სახით, დაახლოებით 5%-ს იღებდა, ხოლო შემოსავლის დანარჩენი ნაწილი ტელეკომპანიას რჩებოდა.

2015 წლის 16 იანვარს შპს „ინტერ მედია პლუსთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშსწორების აღნიშნული წესი შეიცვალა. მხარეები ყოველი თვის დასაწყისში თანხმდებოდნენ ანაზღაურების კონკრეტულ ოდენობაზე, რომელსაც ტელეკომპანია გაყიდული რეკლამის ღირებულების მიუხედავად იღებდა. ამ ცვლილებით კალენდარულ წელიწადში კომპანიის მიერ მიღებული მოგება შემცირდა 2015 წლის ბოლო 4 თვეში, რაც წინამდებარე ბრალდების საკვანძო ეპიზოდს წარმოადგენს.

ბრალდების მხარის პოზიციით, განსხვავებული ხელშეკრულების დადების მიზანს ტელეკომპანიის ქონებრივი უფლების გაფლანგვა წარმოადგენდა. კომპანიისთვის მიყენებულ ქონებრივ ზიანად მითითებულია 2014 წელს სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხის - 43 230 509 ლარისა და 2015 წელს სარეკლამო შემოსავლებიდან მიღებული თანხის - 36 467 000 ლარის - სხვაობა. ბრალდების მხარის მტკიცებით, რაკი არ შემცირებულა სარეკლამო ბაზარი, კომპანიას იმდენივე შემოსავალი უნდა მიეღო, რამდენიც წინა წელს მიიღო.

დაცვის მხარის პოზიციით, სადავო, 2015 წლის ხელშეკრულება დადებული იყო კომპანიის სასიკეთოდ, რისკების დასაზღვევად და მოსალოდნელ ფინანსურ სირთულეებთან გასამკლავებლად. მხარე უთითებს, რომ 2015 წლის საწყისი 8 თვის განმავლობაში კომპანია დაახლოებით იმდენ შემოსავალს იღებდა, რამდენსაც წინა წელს, თუმცა შემდგომ, „რუსთავი 2“-ის მფლობელობასთან დაკავშირებით დაწყებული სასამართლო პროცესის გამო, მათ ჰქონდათ შემოსავლის მკვეთრი ვარდნის მოლოდინი, რის გამოც გადაწყვიტეს, მოეთხოვათ ნაკლები, თუმცა გარანტირებული შემოსავალი „სელ ჰაუსისგან“. ამასთან, რაკი აღნიშნული რისკები არ მატერიალიზდა, 2016 წლის ხელშეკრულებით დაბრუნდა ანგარიშსწორების ძველი წესი, ხოლო „ინტერ მედია პლუსმა“ დააბრუნა 2015 წელს მიღებული მოგების ნაწილი.³

ამრიგად, ნიკა გვარამიასთვის წარდგენილი ბრალდება მნიშვნელოვნად ეყრდობასწარმოს მმართველის - დირექტორის მენეჯერული გადაწყვეტილების მართლზომიერების შეფასებას. პროკურატურის პოზიციით, ნიკა გვარამიას არ უნდა დაედო მსგავსი შინაარსის ხელშეკრულება ანდა ანაზღაურების სახით უნდა მოეთხოვა გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე მან შპს „ინტერ მედია პლუსისგან“ მოითხოვა.

მენეჯერული გადაწყვეტილების გამო დირექტორის პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე სიღრმისეულად შესწავლილ მიმართულებას წარმოადგენს, რომელსაც პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზეც გააჩნია სათანადო გავლენა. ამრიგად, მიგვაჩნია, რომ მოცემული საქმის სრულყოფილი შესწავლისთვის, წარდგენილი ბრალდების საკორპორაციო-სამართლებრივი ასპექტებიც უნდა გაანალიზდეს.

³ იხ. ნიკა გვარამიას 2019 წლის 1 აგვისტოს დაკითხვის ოქმი.

დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძვლები

ეკონომიკისა და მენეჯმენტის მეცნიერებებისთვის ამ დრომდე უცნობია კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღების (corporate decision-making) ისეთი პოზიტიური თეორია, რომელიც მენეჯერს ზუსტად უკარნახებდა, თუ რა დროს რა გადაწყვეტილება მიეღო.⁴ კორპორაციული საზოგადოების მმართველებს, აქციონერებსა და კრედიტორებს თანაბრად სურთ, რომ საწარმო მომგებიანი იყოს, მაგრამ ამისთვის სხვადასხვა გზები მიაჩნიათ ოპტიმალურად. მათი ნაწილი შესაძლოა საზოგადოებრივ იმიჯს უფრო ხილდებოდეს, ნაწილისთვის კი დანაშაულებრივი საქმიანობაც მისაღები იყოს.⁵

შესაბამისად, აუცილებელია კორპორაციული საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობის საზღვრების დადგენა, რათა მან შეძლოს, ერთი მხრივ, სარისკო, თუმცა მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღება, მეორე მხრივ კი - კანონის ჩარჩოში დარჩენა. ეს განსაკუთრებით შპს-ს სამართლებრივი ფორმით დაარსებული საწარმოების დირექტორებს მიემართება, რომლებიც ლეგიტიმური მიზნის - მოგების - მისაღებად ხშირად იყენებენ არაფორმალურ კონტაქტებსა და საკანონმდებლო სივრცის მოქნილობას.⁶

შეზღუდული პასუხისმგებლობით საწარმოები არსებობენ იმიტომ, რომ ეს მომგებიანია როგორც თავად საწარმოსთვის, ისე - ეკონომიკისთვის.⁷ თუკი მენეჯერმა არ იცის, რომ მისი პასუხისმგებლობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება დადგეს, იგი არ მიიღებს სარისკო გადაწყვეტილებებს, რომელიც მას საწარმოსთვის მომგებიანად მიაჩნია. შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი ხელს უწყობს ბაზრის ზრდას, ინვესტირების სიმარტივესა და საწარმოს ეფექტიან ფუნქციონირებას.⁸

საზოგადოების წარმატებული მართვის უზრუნველსაყოფად, საზოგადოების აქციონერები და დირექტორები დაცულები არიან „კორპორაციული საფარველით“, რაც გამორიცხავს მათ ინდივიდუალურ ქონებრივ პასუხისმგებლობას. კორპორაციული საფარველი „იმუნიტეტია“, რომელიც კორპორაციის განცალკევებული სამართალსუბიექტობისა და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპებს უკავშირდება.⁹

„კორპორაციული საფარველის გაჭოლვა“ (piercing the corporate veil)¹⁰, ანუ დირექტორებისა და აქციონერების პირადი პასუხისგება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში დაიშვება.¹¹

⁴ Brodowski, D., Espinoza de Los Monteros de La Parra, M., Vogel, J. (2014). *Regulating Corporate Criminal Liability*. Cham: Springer International Publishing, 47.

⁵ იქვე, 48.

⁶ Ribstein, L., (1995). *The Emergence of the Limited Liability Company*. *The Business Lawyer*. 51(1).

⁷ Posner, R. (1975). *THE RIGHTS OF CREDITORS OF AFFILIATED CORPORATIONS*. *The University of Chicago Law Review*, 43, 501-502.

⁸ Halpern, P., Trebilcock, M., & Turnbull, S. (1980). *An Economic Analysis of Limited Liability in Corporation Law*. *The University of Toronto Law Journal*, 30(2), 117-150, 118.

⁹ Hansmann, H., Kraakman, R., Squire, R., (2006). *Law and the rise of the firm (asset partitioning and entity shielding)*. *Harvard Law Review*, 119(5), 1333-1403, 1337.

¹⁰ ინგლისში ამ ტერმინთან ერთად ასევე გამოიყენება “lifting the corporate veil”, რომელსაც მსგავსი, თუმცა არაიდენტური მნიშვნელობა გააჩნია, იხ.: *Prest v Petrodel Resources Ltd* [2013] UKSC 34; *Dadourian Group Internationa v Simms* [2006] EWHC 2973, at [686].

¹¹ Ribstein, L., Keatinge, R., (2010). *LIMITED LIABILITY COMPANIES*. WEST; 2nd edition (2010).

საზოგადოების დირექტორის შემთხვევაში, ეს შესაძლებელია მის მიერ ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის, ან დანაშაულის ჩადენის დროს.¹²

ა) დირექტორის კორპორაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა

საზოგადოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან, საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად და იმ რწმენით, რომ მათი ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოების ინტერესებისათვის. კორპორაციული მართვის დროს დირექტორს ეკისრება ორი უმთავრესი კორპორაციულ-სამართლებრივი (ფიდუციური) ვალდებულება - ერთგულებისა (duty of loyalty) და გულისხმიერების (duty of care).¹³ ეს უკანასკნელი ავალდებულებს დირექტორს იმოქმედოს რწმენით, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ისეთი გულმოდგინებით, როგორსაც მესამე ობიექტური წინდახედული პირი გამოიჩენდა.¹⁴ სარჩელი პირადად დირექტორის, ან აქციონერის მიმართ სწორედ იმ შემთხვევაში დაკმაყოფილდება, თუ მან აღნიშნული ვალდებულება დაარღვია. ამასთან, დირექტორების ვალდებულება ვრცელდება მთელი საწარმოს და არა რომელიმე კონკრეტული აქციონერის წინაშე.¹⁵

კორპორაციული პასუხისმგებლობის საფარველის მოხსნისას ყურადღება არაერთ ისეთ ასპექტს ექცევა, როგორცაა: არასათანადო კაპიტალიზაცია, კორპორაციული მართვის წესების დაუცველობა, დირექტორების უმოქმედობა, ანგარიშგების ჩანაწერების არქონა და ა. შ.¹⁶ დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საფუძვლები სხვადასხვა სახელმწიფოების კანონმდებლობასა და პრაქტიკაში განსხვავდება, თუმცა მხოლოდ მცირედით:

აშშ

აშშ-ში გამჭოლი პასუხისმგებლობა საგამონაკლისო მექანიზმადაა აღიარებული¹⁷ და სამი კუმულატიური წინაპირობა გააჩნია: დომინანტური პოზიცია კორპორაციაში, კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.¹⁸ დომინანტური პოზიცია არა მხოლოდ წილობრივ უპირატესობასა ან ფინანსების კონტროლში უნდა გამოიხატებოდეს, არამედ იმ ხარისხის უნდა იყოს, რომ საზოგადოების დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას გამორიცხავდეს.¹⁹ დომინანტური პოზიციის გამოყენება უნდა ხდებოდეს თაღლითობის, კანონისმიერი ან სახელმწიფოებრივ ვალდებულებებისგან თავის არიდების, ან სხვა განზრახ უკანონო ქმედების ჩადენის მიზნით,²⁰ რაც საბოლოოდ, პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი ხდება.

¹² მაგალითად, ინგლისის სამართლის ნორმები თაღლითური და არამართლზომიერი ვაჭრობის შესახებ, აშშ-ს თაღლითური ტრანსფერისა და გარემოს დაცვითი რეგულირების კანონმდებლობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა, გერმანული საკონცერნო სამართალით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა და ა.შ.

¹³ ჯუდელი გ., (2010). კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 249.

¹⁴ ჭანტურია ლ., (2006). კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 319.

¹⁵ Rock, Edward B. (2013). Adapting to the new shareholder-centric reality. University of Pennsylvania Law Review, 161(7), 1907-1988, 1956.

¹⁶ Pepsi-Cola Metro. Bottling Co. v. Checkers, Inc., 754 F.2d 10 (1st Cir. 1985)

¹⁷ Strasser, Kurt A. (2005). Piercing the veil in corporate groups. (Symposium: The Changing Face of Parent and Subsidiary Corporations: Entity vs. Enterprise Liability). Connecticut Law Review, 37(3), 637-665. 650.

¹⁸ Smith, Douglas G. (2008). Piercing the corporate veil in regulated industries. Brigham Young University Law Review, 2008(4), 1165-1211, 1196-1182.

¹⁹ იქვე.

²⁰ Cox, J., Hazen, T. (2011). Business Organizations Law. West Publishing (3th ed). 127-128.

კორპორაციული საფარველის გაჭოლვა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აშკარაა, რომ საზოგადოება გამოიყენება უსამართლო და არამართლზომიერი მიზნების მისაღწევად, მათ შორის, არსებული სამართლებრივი ვალდებულებებისგან თავის ასარიდებლად.²¹ დელავერის შტატის სასამართლოები იყენებენ ორსაფეხურიან ტესტს და ამოწმებენ: (1) ვის მიადგა ზიანი ქმედებით და (2) ვინ მიიღო შედეგად ინდივიდუალური სარგებელი.²²

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ დირექტორმა ან აქციონერმა ისე შეცვალა საწარმოს ფორმა, რომ საწარმო უკვე *მხოლოდ* მისი პირადი ინტერესის დასაკმაყოფილებლად ფუნქციონირებდა. პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია, რომ კორპორაციისა და მისი მმართველის გამიჯვნა აღარ შეიძლებოდეს.²³ ამასთანავე, დირექტორს შეუძლია თავი დაიცვას, თუკი დაამტკიცებს, რომ განხორციელებული ქმედება მას კეთილგონივრულად მიაჩნდა და იგი კორპორაციის საკეთილდღეოდ მოქმედებდა.²⁴

ამრიგად, არ არის გასაკვირი, რომ დერივაციული სარჩელების უმეტესობა, მტკიცების ტვირთის სირთულის გამო, უშედეგოდ სრულდება.²⁵

ინგლისი და უელსი

ინგლისსა და უელსში კორპორაციული საფარველის გაჭოლვა მხოლოდ მაშინ დაიშვება, როდესაც ხდება კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობით ბოროტად სარგებლობა.²⁶ ლორდთა პალატის²⁷ პრაქტიკის მიხედვით, ამ წესიდან ერთადერთი შესაძლო გამონაკლისი დანაშაულის, კერძოდ თაღლითობის ჩადენა,²⁸ ან კრედიტორებისა თუ აქციონერების რაიმე ფორმით განზრახ შეცდომაში შეყვანაა.²⁹

1960-70 წლებში იყო მცდელობები, რომ „ეკონომიკური რეალობის დოქტრინის“ მეშვეობით გაზრდილიყო კორპორაციული საფარველის გაჭოლვის შესაძლებლობა, მაგრამ ეს შესაძლებლობა საბოლოოდ უარყოფილ იქნა.³⁰

დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში - თაღლითობის (fraud) არსებობისას უნდა დადგეს.³¹ კორპორაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა

²¹ Wormser, I. (1927). Disregard of the corporate fiction and allied corporation problems. Reprinted in 2000, Law Classics series, 55-56.

²² Tooley v. Donaldson, Lufkin & Jenrette, Inc., 845 A.2d 1031, 1033 (Del. 2004).

²³ “Such a unity of interest and ownership that the separate personalities of the corporation and the individual, or other corporation, no longer exist.” Great Lakes Overseas, Inc., v. Wah Kwong Shipping Group, Ltd., 990 F.2d (7th Cir. 1993), at 996.

²⁴ ჯუღელი გ., (2010). კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 164-166.

²⁵ Freedman, David Amiel. (2016). Harpooning the corporate whale: A federal maritime treatise on veil-piercing. Transportation Law Journal, 43(1), 27.

²⁶ McArdle, W., & Jones, G. (2013). Prest v Petrodel resources and VTB Capital v Nutritek: A robust corporate veil. Business Law International, 14(3), 295-297, 295.

²⁷ ბოლო პერიოდამდე გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლო სწორედ ამ სახელით იყო ცნობილი.

²⁸ R. v Dimsey and Allen [1999] EWCA Crim 2261.

²⁹ “No court in this land will allow a person to keep an advantage which he has obtained by fraud. No judgment of a court, no order of a Minister, can be allowed to stand if it has been obtained by fraud. Fraud unravels everything. The court is careful not to find fraud unless it is distinctly pleaded and proved; but once it is proved, it vitiates judgments, contracts and all transactions whatsoever...” - Lazarus Estates Ltd v Beasley [1956] 1 Q.B. 702; [1956] 2 W.L.R. 502.

³⁰ Adams v Cape Industries plc [1990] Ch 433.

³¹ Prest v Petrodel Resources Ltd & Ors [2013] UKSC 34, ასევე იხ.: R v Sale [2013] EWCA Crim 1306 და McDowell და Singh v R [2015] EWCA Crim 173.

დადგენილია იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორი კორპორაციაზე კონტროლი გადასახადებისგან თავის ასარიდებლად იყენებს.³²

გერმანია

აშშ-სა და ინგლისის კანონმდებლობის მსგავსია გერმანული *Durchgriffshaftung* დოქტრინა, რომელიც აცხადებს, რომ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ორგანიზაციული ფორმის ბოროტად გამოყენება ხდება. ეს დოქტრინა, როგორც წესი, გაკოტრების საქმეებში გამოიყენება.³³

ზემოთ განხილული კანონმდებლობებისგან გერმანული მართლწესრიგი მტკიცების ტვირთის განაწილებით განსხვავდება - აქ დირექტორებმა უნდა დაარწმუნონ სასამართლო, რომ კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ, გააჩნდათ სათანადო ინფორმაცია და საწარმოს კეთილდღეობას ემსახურებოდნენ.³⁴ როგორც წესი, დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუკი იგი პარტნიორთა კრების კანონიერი გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედებდა.³⁵

საქართველო

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამეწარმეო საზოგადოების მმართველი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისთვის სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოების წინაშე. ზემოხსენებულმა პირებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ არ დაურღვევიათ თავისი მოვალეობა.³⁶

ამასთან, უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული განმარტებების მიხედვით, მაჟორიტარ აქციონერს, რომელიც საკმარისი წილობრივი მდგომარეობით არის წარმოდგენილი, პარტნიორთა კრების ჩატარებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მეშვეობით, აქვს საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრისა და მმართველობითი ფუნქციის განხორციელების უფლება. ეს გულისხმობს მეწარმეთა შესახებ კანონის 47-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების უფლებას, როგორცაა დივიდენდის გაცემის, მოგების განაწილების, საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებები.³⁷ ასევე უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მაჟორიტარი პარტნიორის მიერ პარტნიორთა კრების მეშვეობით მიღებული გადაწყვეტილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს სასამართლოს მხრიდან გაუქმებას, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან გვაქვს უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევა.³⁸

სამეწარმეო განსჯის წესი (Business judgment rule)

³² HM Customs & Excise v Hare and Others [1996] EWCA Civ 1351.

³³ Altung, C., (1995). Piercing the Corporate Veil, In American and German Law – Liability of Individuals and Entities: A Comparative View. Tulsa Journal of Comparative and International Law. 2(2). 187-198.

³⁴ ჯუღელი გ., (2010). კაპიტალის დაცვა საქციო საზოგადოებაში, თბილისი, 114.

³⁵ იქვე, 117.

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის Nას-471-450-2915 განჩინება.

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბრის Nას-863-813-2015 განჩინება.

³⁸ იქვე, ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის სუსგ Nას-75-408-09 განჩინება.

დირექტორის მიერ ფიდუციური ვალდებულების დარღვევის საკითხის შეფასებისას სამეწარმეო განსჯის წესს (business judgment rule) გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს არა მაშინ, როდესაც საწარმომ მოგება ვერ მიიღო, არამედ მაშინ, როდესაც წაგება კონკრეტულად ხელმძღვანელის მიერ განზრახ, დაკისრებული ვალდებულების გამიზნული დარღვევის შედეგად არის გამოწვეული.³⁹

სამეწარმეო განსჯის წესი კრძალავს დირექტორთა პირად პასუხისმგებლობას, თუკი კომპანიისთვის დამდგარი ზარალი თუნდაც მცდარი, წამგებიანი გადაწყვეტილებით დადგა, მაგრამ მას უხეში გაუფრთხილებლობა (gross negligence) ან განზრახვა არ ახლდა თან.⁴⁰ ეს დირექტორისთვის ერთგვარი „უდანაშაულობის პრეზუმფციაა“,⁴¹ რომელიც იცავს მის გადაწყვეტილებას შინაარსობრივი შეფასებისგან, თუკი იგი მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად მოქმედებდა და გადაწყვეტილების მიღებისას საკმარისი ინფორმაცია ჰქონდა მოპოვებული.⁴² ანგლო-ამერიკულ სამართალში უნივერსალურად მიჩნეული ეს წესი გერმანულ სამართალშიც მყარად დამკვიდრდა 1997 წლის 21 აპრილის პრეცედენტული გადაწყვეტილების შემდგომ.⁴³

სამეწარმეო გადაწყვეტილება სამომავლო ვარაუდთან დაკავშირებული მენეჯერული გადაწყვეტილებაა, რასთან დაკავშირებითაც დირექტორები ფართო დისკრეციით სარგებლობენ. თუ სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ სათანადო ინფორმაციის საფუძველზე და საწარმოს საკეთილდღეოდ, გააზრებული რისკის გაწევის აუცილებლობით მოქმედებდა, მას საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.⁴⁴

გარდა ამისა, წარსულში კონკრეტული ვითარებების გათვალისწინებით მიღებული სამეწარმეო გადაწყვეტილების post factum შეფასება სირთულეებთანაა დაკავშირებული.⁴⁵ შესაბამისად, მოსამართლეების მხრიდან უნდა მოხდეს ამა თუ იმ სამეწარმეო გადაწყვეტილების არა მიზანშეწონილობის, არამედ კანონიერების შეფასება. შესაბამისად, გონივრულობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორცაა დირექტორის გამოცდილება და კვალიფიკაცია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საკითხის სირთულე და მისი სწრაფი გადაწყვეტის აუცილებლობა.⁴⁶

გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორს არ უნდა გააჩნდეს პირადი ინტერესი სამეწარმეო გადაწყვეტილებისადმი, მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს გონივრული რწმენით, საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე, საწარმოს საუკეთესო ინტერესების რწმენით.⁴⁷ თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე მოთხოვნა დარღვეულია, დირექტორის პირად პასუხისმგებლობაზე საუბარი მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობის დროს შეიძლება.

³⁹ ჭანტურია ლ., (2006). კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 65.

⁴⁰ Andenæs, M., & Wooldridge, F. (2009). European comparative company law. Cambridge, UK; New York: Cambridge University Press. 486- 487.

⁴¹ ცერცვაძე ლ., (2013). დირექტორატის მოვალეობები კომპანიის მართვისას (შედარებითსამართლებრივი ანალიზი აშშ-ის, უპირატესად დელავერის შტატის, და ქართული სამართლის მაგალითზე), სამართლის ჟურნალი, 1. 266.

⁴² Cahn, A., & Donald, D. (2018). Comparative company law : Text and cases on the laws governing corporations in Germany, the UK and the USA (Second ed.). Cambridge: Cambridge University Press. 370-375.

⁴³ ARAG v. Garmenbeck, II ZR 175/95.

⁴⁴ ჯუღელი გ., (2010). კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 112.

⁴⁵ იქვე, 186.

⁴⁶ Gantler v. Stephens, 965 A.2d 695, 705–06 (Del. 2006); Cede & Co. v. Technicolor, Inc., 634 A.2d 345, 360 (Del. 1992).

⁴⁷ Aronson v. Lewis, 473 A.2d 805, 812 (Del. 1983).

*„მტკიცება იმისა, რომ საწარმოს ზიანი მიადგა მმართველის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში კეთილსინდისიერად, საწარმოს მიზნების გათვალისწინებითა და კანონიერად დადებული გარიგების შედეგად, პასუხისმგებლობის საფუძველად ვერ იქცევა, რამდენად არაგონივრულადაც უნდა მოგვეჩვენოს განხორციელებული ინვესტიცია post factum“.*⁴⁸

ამდენად, დირექტორი სამეწარმეო განსჯის წესის დაცვით მაშინაც სარგებლობს, როცა მისი მოქმედება ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობის ფარგლებს არ სცდება.⁴⁹ ანალოგიურ მიდგომას იზიარებს ქართული სასამართლო პრაქტიკაც. საქართველოს უზენაესი სასამართლო უთითებს, რომ:

*„ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ზიზნის გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან“.*⁵⁰

ბ) დირექტორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

კორპორაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში წარმოშობილი საკითხი ცხადია, შეიძლება სისხლისსამართლებრივად რელევანტური გახდეს. როგორც უკვე აღინიშნა, ასე ხდება მაშინ, როცა დირექტორი საკუთარ უფლებამოსილებას დანაშაულის ჩასადენად იყენებს.

დირექტორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები ასეთია: იგი საკუთარი ან კორპორაციისთვის მოგების მიღების მიზნით უნდა სჩადიოდეს დანაშაულს, ხელშეკრულება ფიქტიურად უნდა იყოს დადებული და მას შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ დანაშაულს სჩადის.⁵¹ იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორს სწამს, რომ კორპორაციის სასარგებლოდ მოქმედებს, იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ დაექვემდებარება, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედება თავისთავად არის დანაშაული.⁵²

დირექტორის მიმართ გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით აშშ-ის ფედერალური პროკურორები ფართო დისკრეციით სარგებლობენ. აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი რეგულარულად აქვეყნებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის მიხედვითაც, პროკურორმა,

⁴⁸ “To allege that a corporation has suffered a loss as a result of a lawful transaction, within the corporation’s powers, authorized by a corporate fiduciary acting in a good faith pursuit of corporate purposes, does not state a claim for relief against that fiduciary no matter how foolish the investment may appear in retrospect”. - *Gagliardi v. TriFoods Intern., Inc.*, 683 A.2d 1049, 1051. (Del. Ch., 1996).

⁴⁹ *Aronson v. Lewis*, 473 A.2d 805, 812 (Del. 1983)

⁵⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის *ნას-1158-1104-2014* განჩინება. იდენტური მიდგომა ასევე დაფიქსირებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის *ნას-687-658-2016* განჩინებაში. საერთო სასამართლოების უახლეს პრაქტიკაში აღნიშნული მიდგომა ასევე გამოიხატულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 ოქტომბრის *№2/27045-18* განჩინებაში

⁵¹ *R v Seager and Blatch* [2009] EWCA Crim 1303.

⁵² *Australian Growth Resources v. Van Reesma* (1988) 13 ACLR 261, 272.

სხვა გარემოებებთან ერთად, მხედველობაში უნდა მიიღოს, ხომ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ადეკვატური ალტერნატივა.⁵³ ამგვარ ალტერნატივად, ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სამართალწარმოება. მაგალითისთვის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა აღიარებს დირექტორის მიმართ კრედიტორის პირდაპირ მოთხოვნას, დირექტორის მიერ ზრუნვის ფიდუციური ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე.⁵⁴

ზემოხსენებული სახელმძღვანელო პრინციპები აშშ-ის ფედერალურ პროკურორებს ურჩევს, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყონ მხოლოდ მაშინ, როდესაც დირექტორის მიერ განხორციელებული ქმედება თავისთავად დანაშაულს წარმოადგენს და არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ქმედითი ალტერნატივა.⁵⁵

ამ მხრივ საგულისხმოა ქართული სასამართლო პრაქტიკაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა იცნობს ისეთ საქმეებსაც, სადაც საწარმოს დირექტორს, პირდაპირი მნიშვნელობით, სახლში მიჰქონდა საწარმოს ქონება.⁵⁶ ამ საქმეში მას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა, რაც ლოგიკურია, რადგან ასეთ შემთხვევებში კრედიტორთა ან აქციონერთა დასაკმაყოფილებლად ოპტიმალური პროცესი სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოებაა.

ამრიგად, სისხლის სამართლის დისტანცირება კორპორაციული ქმედებებისგან მიზანშეწონილია, რადგან მენეჯერული გადაწყვეტილების შეფასება, როგორც წესი, არ უნდა წარმოადგენდეს პროკურორის ან სისხლის სამართლის მოსამართლის პრეროგატივას. თუ დირექტორმა გადააბიჯა უფლებამოსილებას ან არასათანადოდ შეასრულა საკუთარი მოვალეობა, საწარმოს აქციონერებს და კრედიტორებს გამჭოლი პასუხისმგებლობის მექანიზმით ისედაც აქვთ დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება უშუალოდ დირექტორისგან, რაც ქართულ რეალობაშიც დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

წინამდებარე საქმის ანალიზი

წინამდებარე საქმის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ განსახილველი ქმედება (ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მისაღები შემოსავლის განსაზღვრა) თავისთავად არის მიჩნეული დანაშაულად. ბრალდების თანახმად, დირექტორის მიერ უფლებამოსილების გამოყენება არ ყოფილა *წინაპირობა* სხვა დანაშაულის (მაგ. თაღლითობის) ჩასადენად. პროკურატურის აზრით, ეს *თავისთავად* წარმოადგენდა დანაშაულს, რადგან დირექტორს მეტი შემოსავლის მოტანა შეეძლო კომპანიისთვის და ეს შემოსავალი არ მიიღო.

როგორც აღინიშნა, სამეწარმეო განსჯის წესი იცავს დირექტორს პირადი კორპორაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მაშინ, როდესაც მის მიერ განხორციელებული ქმედება არ იყო (1) ერთპიროვნული, პარტნიორებთან შეუთანხმებელი მოქმედება (დომინანტური მდგომარეობის გამოყენება), ან (2) არ ისახავდა მიზნად პირად გამდიდრებას თაღლითობის ან მოტყუების (fraud) ჩადენის გზით და, ამასთანავე, (3) დამდგარი ზიანის მიუხედავად,

⁵³ U.S. Attorney's Manual. Principles of Federal Prosecution, §9-27.220.

⁵⁴ ჯუღელი, გ., (2017). დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე - ახალი სასამართლო პრაქტიკის შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა. 18.

⁵⁵ U.S. Attorney's Manual. Principles of Federal Prosecution, §9-27.230.

⁵⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის Nას-306-291-2016 განჩინება.

დირექტორის გონივრული მოსაზრებით, მოკლე ან გრძელვადიანი რისკების ანალიზის შედეგად, იგი ემსახურებოდა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს.

ზემოხსენებული გარემოებებიდან რამდენიმე რელევანტურია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვისაც. დამნაშავედ ცნობისთვის აუცილებელია დირექტორს შეცნობილი ჰქონდეს, რომ დანაშაულს სჩადის, მის მიერ ჩადენილი ქმედება თავისთავად უნდა წარმოადგენდეს დანაშაულებრივს და იგი პირადი გამდიდრებით უნდა იყოს ნაკარნახები. თუმცა საინტერესოა ისიც, რომ საკორპორაციო-სამართლებრივი გადაწყვეტილების შინაარსობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი დევნა საერთოდ არ იწყება, თუკი არსებობს კრედიტორთა დაკმაყოფილების ოპტიმალური ალტერნატივა - სამოქალაქო დავის სახით.

მოცემულ საქმეში⁵⁷ არსებული სხვადასხვა მტკიცებულებების - სადავო ხელშეკრულებების, მოპოვებული დოკუმენტაციის, მოწმეთა ჩვენებების, თემატური შემოწმება - რევიზიის შედეგებისა და სხვა მასალების ანალიზის შედეგად ნათელია, რომ პასუხი ამ დრომდე არ იკვეთება არაერთი მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა:

- გამოძიების მიმდინარეობისას რამდენად ექცეოდა ყურადღება სადავო ქმედებების საკორპორაციო-სამართლებრივ მნიშვნელობასა - მათ შორის:
 - რამდენად მართებულია ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ბრალდების მხარის მიერ გამოყენებული წესი;
 - რამდენად შეიძლება ჩაითვალოს დირექტორის მიერ განხორციელებული მოქმედება უკანონოდ, თუკი იგი პარტნიორთა ნამდვილი ნების შესაბამისად მოქმედებდა;
 - სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღებისას რამდენად შეიძლება წარმოადგენდეს სამომავლო რისკების დაზღვევისკენ მიმართული მოქმედება ქონებრივი უფლების გაფლანგვას და რამდენად არსებობს სამეწარმეო განსჯის წესით დადგენილი წინაპირობების გადალახვის საფუძველი;
- შეფასდა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული სამართლებრივი გზები (განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიება 2019 წლის 20 ივლისს დაიწყო, ნიკა გვარამიას ბრალდებულად ცნობა კი 9 აგვისტოს განხორციელდა);
- არსებობს თუ არა ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით მტკიცებულება, რომელიც დირექტორის მხრიდან საკუთარი გამდიდრებისკენ მიმართულ ქმედებაზე მიუთითებს,⁵⁸ ან რამდენად აკმაყოფილებს სადავო ხელშეკრულებების არაფიქტიური და არადანაშაულებრივი ხასიათი საერთაშორისო პრაქტიკისა და გაიდლაინებით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის კრიტერიუმებს.

საკორპორაციო-სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებების გათვალისწინებით, ამ საკითხებზე მკაფიო პასუხების გაცემა აუცილებელია. საწარმოს მართვისას მიღებული მენეჯერული გადაწყვეტილება არ შეიძლება შეფასდეს დირექტორის სამართლებრივი სტატუსის სპეციფიკის უგულებელყოფით. ზემოაღნიშნული საკითხების შეფასება მნიშვნელოვნად დაეხმარება სასამართლოს მსგავს კომპლექსურ საქმეზე ობიექტური და სამართლებრივად სრულად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში.

⁵⁷ იგულისხმება სისხლის სამართლის საქმის დაახლოებით 5 ტომის მასალები, რომელიც ნიკა გვარამიას მიმართ წარდგენილი ბრალდების კონკრეტულად ქონებრივი უფლების გაფლანგვის ეპიზოდს შეეხება.

⁵⁸ ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ წარდგენილი ბრალდება ქონებრივი უფლების გაფლანგვას და არა მითვისებას გულისხმობს.

დასკვნა

განხილული კანონმდებლობებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საწარმოს დირექტორის მიერ მიღებული, თუნდაც საზიანო გადაწყვეტილება არათუ სისხლის, არამედ საკორპორაციო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ექვემდებარება. დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია, თუნდაც ნაკლები მოგების მიღებას გულისხმობდეს, მაგრამ კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს ემსახურებოდეს და მოკლე, ან გრძელვადიანი რისკების დაზღვევას უზრუნველყოფდეს.

საბოლოო ჯამში, საწარმოს საუკეთესო ინტერესი დირექტორისგან სამეწარმეო რისკების აღებას მოითხოვს. დირექტორი არ უნდა უფრთხოდეს იმას, რომ წარსულში მიღებულ სამეწარმეო გადაწყვეტილებას სასამართლო დანაშაულებრივად მიიჩნევს მხოლოდ მისი უარყოფითი შედეგიდან გამომდინარე,⁵⁹ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ქმედებიდან არ იკვეთება დომინანტური მდგომარეობის არსებობა ან მისი ბოროტად გამოყენება და როდესაც შესაძლებელია დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გონივრულად განმარტება.

სასამართლომ საქმის განხილვის ფარგლებში უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და წარმოადგინოს დასაბუთებული პოზიცია განსახილველ საკითხებზე, ვინაიდან ნიკა გვარამიას მიმართ წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებული გარემოებების გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, რის გამოც მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელებ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი



⁵⁹ ჯუღელი გ., (2010). კაპიტალის დაცვა საქვეყნო საზოგადოებაში, თბილისი, 186.